ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 244

ქალაქი ქუთაისი 8 ნოემბრის 2023 წელი

„თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების
გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის
საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში ცვლილების
შეტანის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №70 დადგენილების შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში, კერძოდ, განკარგულებით დამტკიცებულ გარე რეკლამის განთავსების გეგმას დაემატოს №95–№96 ლოტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო რეესტრის წარმოება განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ნ. ტრაკლი შენგელია

საქართველო ქ. ქუთაისის
საკრებულო
გას. № 244
9 - 11 - 2023 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2023 წლის 8 ნოემბრის
№ 244 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმა

ლოტი № 95- №96

ლოტის №	რეკლამის განსათავ-სებელი ადგილის ნომერი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება			გარე რეკლამის განთავსების ადგილის ღერძის კოორდინატები		შენიშვნა
		დასახელება	საჯარო რეესტრის ამონაწერი	მისამართი	x	y	
95	296	ტროტუარი	№03.05.24.035	ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი №10-ის სამხრეთ–აღმოსავ-ლეთით	307482.86 307481.15	4679429.99 4679427.52	ცალმხრივი
96	297	ტროტუარი	№03.02.26.021	ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის ხიდის ჩრდილო–დასავლეთით	310202.219 310204.203	4682358.048 4682357.435	ცალმხრივი

პირობები: ლოტი №95–№96-ით განსაზღვრულ ადგილებზე სარეკლამო საშუალებები უნდა მოეწყოს მიწისპირა ნიშნულიდან არანაკლებ +2,50 მეტრისა. ვერტიკალურად არანაკლებ 3 მეტრისა და ჰორიზონტალურად არანაკლებ 6 მეტრისა. სარეკლამო საშუალება უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე მასალებით დამზადებულ მოცულობას, უნდა იყოს კონსტრუქციულად მდგრადი, თანამედროვე საშუალებებით განათებული, უნდა შეეფერებოდეს ქალაქის იერსახეს, სამშენებლო ნორმებსა და წესებს, ასევე, საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას.

ნებართვის მიმღები ვალდებულია, სარეკლამო საშუალებაზე მარჯვენა ქვედა კუთხეში მიუთითოს ნებართვის ნომერი, თარიღი და ვადა.

იმ შემთხვევაშიც, თუ სარეკლამო საშუალება დატვირთული არ იქნება ფუნქციური დანიშნულებით, ნებართვის მიმღები ვალდებულია, პერიოდულად აწარმოოს კონსტრუქციის შეღებვის სამუშაოები.

სარეკლამო საშუალების დაზიანების შემთხვევაში ნებართვის მიმღები ვალდებულია, გონივრულ ვადაში აღადგინოს და ვალდებულებასთან შესაბამისობაში მოიყვანოს კონსტრუქცია.

გარე სარეკლამო საშუალების საბოლოო იერსახე შეთანხმებული უნდა იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მათ შორის საგზაო მმართველობის სათანადო ორგანოსთან.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ შოთა შენგელია